585/958/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 5 (86) ნოემბერი 1958 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. კანონი საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ.
2. საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების შესახებ.
3. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარების, მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
4. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.
5. კანონი „მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის სსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
6. კანონი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147[1] მუხლის შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
7. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებების შესახებ.
8. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.
9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
10. ამხ. ო. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
11. ამხ. ო. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
12. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი ჩოგოვაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
13. ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

14. ამხ. თ. მ. ქეცხას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

15. ამხ. ფ. ა. აბუსბას არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

16. ბრძანებულება კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

17. ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ქერქაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობისაგან.

18. ბარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

20. სასოფლო აღმასრულებელთა მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

21. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის წევრის შესახებ.

22. ბრძანებულება ამხ. მ. ფ. ჩხეიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობისაგან.

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

24. ბრძანებულება პროფესორ ნ. ვ. კაშაკაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

25. ბრძანებულება სტალინირის რაიონის სოფელ დგვრისის ტერიტორიის ქალაქ სტალინირის ფარგლებში შეტანის შესახებ.

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ გარდაბნის და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონების გაერთიანებისა და ქ. თბილისის სამგორის რაიონის შექმნის შესახებ.

27. ბრძანებულება ამხ. ვ. ნ. ჯანჯღავას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობისაგან.

28. ბრძანებულება ამხ. ი. ი. ღარიბაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

29. ბრძანებულება ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო სთვლის, რომ ბუნების დაცვა წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის ერთ-ერთ ამოცანას, სახელმწიფოს და მთელი საზოგადოებრიობის დიდ საზრუნავ საქმეს. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, მოსახლეობის მზარდი მატერიალური, კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მშრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობების შექმნა მოითხოვს მუდმივ და ყოველმხრივ მზრუნველობას ბუნების სიმდიდრეთა შენარჩუნების, აღდგენის, გამდიდრებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 6, 11 მუხლებისა და 14 მუხლის „ო" პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე ბუნების დაცვის გაძლიერების, ბუნების რესურსების — ტყის, წყლის, ნიადაგის, ფაუნისა და ფლორის საერთო რეგულირების, მისი რაციონალურად გამოყენებისა და კვლავწარმოების მიზნით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ბუნების სახელმწიფო დაცვას ექვემდებარება:

ა) ნიადაგი, ტყე, წიაღი, წყლის რესურსები (მდინარეები, ტბები, წყაროები, მიწისქვეშა წყლები და სხვ.), ცოცხალი და მკვდარი ბუნების ძეგლები და ობიექტები — პარკები, დიდხნოვანი ხეები და სხვა იშვიათი მცენარეები, ჩანჩქერები, უნიკალური გეოლოგიური წარმოქმნები და სხვ.;

ბ) ბუნებრივი თავისუფლების პირობებში მყოფი მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა სახეობები, განსაკუთრებით კი ის სახეობები, რომლებსაც გადაშენების ან განადგურების საფრთხე ემუქრება;

გ) ტერიტორია, რომელზეც იმყოფება კულტურის, მეცნიერებისა და განათლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბუნების ძეგლები და მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს იშვიათი სახეობები;

დ) ბუნების ცალკეული კუთხეები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული სილამაზით და დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

2. აიკრძალოს:

ა) საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ყოველგვარი სამეურნეო და სხვა მოქმედება, რომელიც გამანადგურებელ გავლენას იხდენს ბუნებრივი სიმდიდრეებისა და სავარგულების მდგომარეობაზე. სახელდობრ: წყლის, ჰაერისა და ნიადაგის გაბინძურება, ჰავის გაუარესება, თევზის მასობრივი მოსპობა, ნიადაგის ეროზიის წარმოქმნა, მდინარეების და ტბების დაშრობა, მეწყერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოქმნა, წყლის შეტბორვა, ტყის ფართობების გადაქცევა სხვა სავარგულად, ძვირფასი და იშვიათი მცენარეების, ძვირფასი გარეული ნადირისა და ფრინველის მოსპობა, აგრეთვე მშრომელთა დასვენების ადგილების გაბინძურება.

უკიდურესი აუცილებლობისას, ისეთი სამუშაოები, რომლებიც ზემოაღნიშნულ შედეგებს გამოიწვევს, შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში;

ბ) ნაკრძალებში ბუნებრივ სიმდიდრეთა ყოველგვარი გამოყენება ეკონომიური მიზნებისათვის და მათი ბუნებრივი მდგომარეობის დარღვევა.

3. ბუნების დაცვის მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ტყეებისა და სხვა მცენარეული რესურსების, თევზის, გარეული ცხოველების და ფრინველების გამოყენება, აღდგენა და შენარჩუნება მოეწყოს გეგმის მიხედვით, იმ წესებისა და ნორმების შესაბამისად, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დაამტკიცებს;

ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების გეგმების შედგენისა და მათი განხორციელების დროს გათვალისწინებულ იქნას არა მარტო მეურნეობის რომელიმე ერთი დარგის მოთხოვნილებანი, არამედ მთლიანად მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესები, აგრეთვე მოსახლეობის კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებანი.

ბ) ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა;

გ) ცხოველებისა და მცენარეების იმ სახეობათა რიცხვის რეგულირება, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ბუნებრივ სიმდიდრეთა შენარჩუნებასა და გამოყენებაზე;

დ) მცენარეულობათა და ცხოველთა სამყაროს რაციონალური გამდიდრება უცხო ძვირფასი მცენარეების შემოტანით, ცხოველთა შემოყვანით და მათი აკლიმატიზაციით. აღნიშნული სამუშაოები ჩატარდეს მთლიანად ბუნების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით და მათზე კონტროლი განხორციელდეს სახელმწიფო მასშტაბით;

ე) ნაკრძალთა და აღკვეთილთა მოწყობა მათი სამეურნეო სარგებლობიდან ამოღებით.

4. ნაკრძალების მოწყობა ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო აღკვეთილთა მოწყობა და ბუნების ძეგლების სამუდამო დასაცავად გამოცხადება — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

5. ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვა და კვლავწარმოება ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, მილიციასა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე სამხედრო და სასაზღვრო ჯარის ნაწილებს მათი განლაგების ადგილებში.

6. პასუხისმგებლობა ყველა ბუნებრივი სიმდიდრის მოვლა-პატრონობის, კვლავწარმოების, რაციონალური ექსპლოატაციისა და შენარჩუნებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკისრებათ იმ მიწათმოსარგებლეებს (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დაწესებულებები, საწარმოები და სხვ.), რომელთა ტერიტორიაზეც არსებობს ეს სიმდიდრე.

ის დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას ახორციელებენ, მოვალენი არიან რეგულარულად, გეგმაზომიერად გამოყონ ასიგნობანი და სხვა მატერიალური სახსრები ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და კვლევწარმოების საბუშაოებისათვის.

7. ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების საკითხების მეცნიერული დამუშავება, აგრეთვე სათანადო პროექტებისა და რეკომენდაციების მომზადება ეკისრებათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

8. ბუნების დაცვის იდეების პროპაგანდა შეადგენს ყველა საფეხურისა და პროფილის სასწავლებლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, ყველა სამინისტროსა და უწყების მოვალეობას.

9. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და მუშაკების, აგრეთვე ცალკეული პირების მიერ ამ კანონის დარღვევა მიჩნეულ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის 144 მუხლის დარღვევად.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს ამ კანონის დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომები და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარმოუდგინოს განსახილველად წინადადებანი სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო მუხლების დამატების შესახებ.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასახოს და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ამ კანონის შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

2. საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების შესახებ

ანიჭებს რა ქარსაფარ და მინდორსაცავ ტყის ზოლების გაშენებას განსაკუთრებით დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, ეროზიისა და გამოქვაბულებან ნიადაგის დაცვის და სოფლის მეურნეობის კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღების საქმეში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი გეგმა 1959-1965 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებისა საერთო ფართობით არანაკლებ 15.000 ჰექტარისა.

2. მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სატყეო მეურნეობებმა, სოფლის მეურნეობის ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მთელმა საზოგადოებრიობამ ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება გადააქციონ საყოველთაო-სახალხო საქმედ.

3. დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმა ცალკეული რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სატყეო მეურნეობების მიხედვით და შეიმუშაოს ამ გეგმის განხორციელებისათვის საჭირო წესი და ვადები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

8. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარების, მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის გზების მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის საქმეში მიღწეულია ერთგვარი წარმატებანი. ომისშემდგომ პერიოდში საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე გაკეთებულია შავი საბური სიგრძით 1.700 კილომეტრამდე.

მარტო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე აგებულია 263 რკინაბეტონის ხიდი საერთო სიგრძით 6.000 გრძივი მეტრი და 927 რკინაბეტონის მილი.

წლითიწლობით უმჯობესდება საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების მდგომარეობა. ერთგვარი გაუმჯობესებაა ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზეც.

ამასთან ერთად უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის საგზაო მეურნეობის არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების ტემპები არ უპასუხებენ მოთხოვნებს, რომლებსაც სახალხო მეურნეობა აყენებს.

ავტოპარკის ყოველწლიური გადიდებისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების შედეგად მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის ზრდის ტემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პები მნიშვნელოვნად წინ უსწრებენ საავტომობილო გზების გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის ტემპებს. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების ნაწილი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების უმეტესობა.

სამშენებლო და სარემონტო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის დონე მთელ რიგ ობიექტებზე დაბალია. არასაკმაოდ გამოყენებული საგზაო მშენებლობის მოწინავე მეთოდები.

ყოველწლიურად მთლიანად არ ითვისებენ იმ სახსრებს, რომლებსაც საგზაო სამუშაოებისათვის გამოყოფენ „საქმიდრონერგომშენის“ და „ციათურა-მარგანეცის“ ტრესტები და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველო.

იმის გამო, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული საბჭო არასაკმაო ყურადღებას აქცევს ადგილობრივ გზებს, სისტემატიურად არ სრულდება საგზაო სამუშაოთა გეგმები, რის შედეგადაც გზები იმყოფება ძნელად საცალ მდგომარეობაში.

ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის აღჭურვილი როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ორგანიზაციები ტექნიკით, ტრანსპორტით და მასალებით.

უმაღლესი საბჭო მოითხოვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარი სამმართველოსაგან, აფხაზეთისა და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებისაგან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისაგან და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა გზების მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის საქმისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთებას და შენახვას, ფართოდ ჩაანაცვლონ ამ საქმეში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და სოფლის მოსახლეობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული საერთო-სახელმწიფოებრივი, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ქსელის განვითარებისა და გაუმჯობესების 1959-1965 წლების გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია:

ა) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე — მოეწყოს გზების კაპიტალური შეკეთება 725 კილომეტრ სიგრძეზე, აქედან გაკეთდეს ახალი შავი საბურავი 240 კილომეტრ სიგრძეზე და შავსაბურავიანი გზების ხვედრითი წონა აყვანილ იქნას 79-დან 93 პროცენტამდე;

ბ) რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე მოეწყოს გზების კაპიტალური შეკეთება 890 კილომეტრ სიგრძეზე, აქედან გაკეთდეს ახალი შავი საბური 665 კილომეტრ სიგრძეზე და აყვანილ იქნას შავსაბურავიანი გზების ხვედრითი წონა 44-დან 68 პროცენტამდე;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე გადიდდეს გზების ქსელის სიგრძე რესპუბლიკაში 840 კილომეტრით და აყვანილ იქნას იგი 13.350 კილომეტრამდე, მათ შორის გადიდდეს მაგარსაბურავიანი გზების ქსელი 1.830 კილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრით და აყვანილ იქნას იგი 9.700 კილომეტრამდე. აშენდეს შავსაბჭოთა გზები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ძალებით — 360 კილომეტრზე, სხვა უწყებებისა და კოლმეურნეობათა ძალებით სულ ცოტა 240 კილომეტრზე.

2. საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის გაუმჯობესების მიზნით დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები იღებენ მონაწილეობას ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში.

3. დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წინადადებები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების საგზაო სამეშაოებში ჩაბმის წესის, ვადების და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამეშაოებისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ;

ბ) ყოველწლიურად დამტკიცოს გზების მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის სამუშაოთა გეგმები; გაითვალისწინოს სათანადო ასიგნებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები საქართველოს სსრ საგზაო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით დამტკიცებული ღონისძიებების განსახორციელებლად;

გ) განიხილოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა იმ რაიონის დასაკილდოებლად, რომელმაც თავი გამოიჩინა სოციალისტურ შეჯიბრებაში ადგილობრივი გზების მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის საქმეში;

დ) გადაწყვიტოს საკითხი საშუალო განათლების მქონე გზის მექანიზატორთა და გზის ტექნიკოსთა კადრების მომზადების შესახებ.

4. მოეწყოს მაგისტრალური საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური გზების გასწვრივ, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის მთელ რიგ გზებზე ფშვნა ნარგავთა გაშენება იმ მიწისმოსარგებლეთა ძალებით და სახსრებით, რომელთა მიწები გზების გვერდით მდებარეობენ. ამასთან ნარგავები ძირითადად გაშენდეს ფართო ზოლებად და უპირატესად დაირგოს ხეხილის კულტურები.

დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს და დამტკიცოს გზების გამწვანების შვიდწლიანი გეგმა.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა და შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ძირეულად გაუჯობესონ ხელმძღვანელობა საგზაო მეურნეობისადმი; ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ გზების მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის საკითხებს; გააძლიერონ კონტროლი საგზაო განყოფილებების, კოლმეურნეობების, საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების და სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაობისადმი, რომლებზეც მიმაგრებულია გზები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კადრების სწორად შერჩევას და განაწილებას. პერიოდულად მოისმინონ გზების შეკეთების მიმდინარეობის საკითხები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს:

ა) უზრუნველყოს ყველა რაიონული ცენტრის დაკავშირება რესპუბლიკის მაგისტრალურ გზებთან მაგარსაბურავიანი და უმეტესად შაესაბურავიანი გზების საშუალებით;

ბ) აამაღლოს საგზაო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, გაუმჯობესოს ავტოსაგზაო მექანიზმების გამოყენება, აამაღლოს ინდუსტრიალიზაციის დონე საგზაო მშენებლობაში, ასაწყობი რკინაბეტონის და მოწინავე მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენების გზით;

გ) საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე, როგორც წესი, განახორციელოს კაპიტალური ხიდების მშენებლობა;

დ) ქმედითი დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთებისა და შენახვის საქმეში;

ე) განახორციელოს სისტემატური კონტროლი და სახელმწიფო ზედამხედველობა იმ საგზაო სამუშაოებისადმი, რომლებსაც საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე ასრულებენ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები.

***

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები, სოფლის მშრომელები და გზატკეცილების მუშაკები მიიღებენ ყველა ღონისძიებას სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმით გათვალისწინებული გზების მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის ყველა ამოცანის დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1. 1958 წლის 31 მაისისა „საქართველოს სსრ ჭიათურის რაიონის გაუქმების შესახებ“.

2. 1958 წლის 8 აგვისტოსი „ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ“.

3. 1958 წლის 30 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“.

4. 1958 წლის 10 ნოემბრისა „საქართველოს სსრ გარდაბნის და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონების გაერთიანებისა და ქ. თბილისის სამგორის რაიონის შექმნის შესახებ“.

ამ ბრძანებულებათა შესაბამისად შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება და დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „ე“ პუნქტში, 19 და 50 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 14...

„ე) აწესებს ოლქების, რაიონების, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ქმნის ახალ საოლქო, რაიონულ, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოებს; ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს ახალი საქალაქო საბჭოების, რესპუბლიკური და საოლქო დაქვემდებარების ქალაქებში რაიონული საბჭოების შექმნისა და ამ ქალაქების საზღვრების შეცვლის შესახებ“.

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, კაჯრეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ხაშურის, ხობის, რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისისა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან».

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთა საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

5. კ ა ნ ო ნ ი

„მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულება „მოძრაობის წესების და ავტომანქანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

6. კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147[1] მუხლის შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147[1] მუხლის შეტანის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

7. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

ამბ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობისაგან;

ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანღაცის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

8. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი:

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გიორგი ირაკლის-ძე ჩოგოვაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრად;

ამხ. ივანე იოსების-ძე ღარიბაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ხ. ციმაკურიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 14 მაისის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კონდრატ სოკრატეს-ძე ციმაკურიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

10. ამხ. ო. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 14 მაისის ბრძანებულება ამხ. ოთარ დავითის-ძე გოცირიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. ველდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

11. ამხ. ო. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 14 მაისის ბრძანებულება ამხ. ოთარ დავითის-ძე გოცირიძის განთავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა
ადგილის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

12. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 14 მაისის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გიორგი ივაკლის-ძე ჩოგოვაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი

13. ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 19 ნოემბრის ბრძანებულება ამხ. ბექან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

14. ამხ. თ. მ. ქეცბას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. თემურ მახმედის-ძე ქეცბა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი —**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
958 წ. 28 ნოემბერი.

15. ამხ. ფ. ა. აბუხბას არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

არჩეული იქნას ამხ. ფირატ ასლანის-ძე აბუხბა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

16. ბრძანებულება კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ახალაია ივანე ეგნატეს-ძე — გალის რაიონის სოფ. ზემო ბარღების კოლმეურნეობის „გიგანტის" ყოფილი თავმჯდომარე
2. დემერჩიანი ალეკო ამბარცუმის-ძე — გაგრის რაიონის სოფ. მიხელრიფშის კოლმეურნეობის „ლენინის ხსოვნის" თავმჯდომარე
3. კაკაჩიშვილი სიმონ იაკობის-ძე — ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
4. მაჭარაშვილი ალექსანდრე დიმიტრის-ძე — კასპის რაიონის სოფ. ქვემო-ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
5. მარქარიანი სუმბათ იოსების-ძე — გულრიფშის რაიონის დაბა დრანდის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
6. მერეიციდი ქრისტეფორე აბრამის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყეკა კოლმეურნეობის „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე
7. ფიროსმანიშვილი ივანე სოსიკოს-ძე — წითელწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვების ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
8. ქავთარაძე ივანე ალექსის-ძე — წითელწყაროს რაიონის სოფ. არხილოსკალოს კირივის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
9. ჭელიძე გრიგოლ სიმონის-ძე — ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 ოქტომბერი

2. უწყებები № 5.

საქ. სსრ. საქ. სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა
1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ქერქაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძე საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 21 ოქტომბერი.

18. გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა ერთგვარად გაუმჯობესეს ორგანასობრივი მუშაობა, სათანადო წარმატებას მიაღწიეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენებლობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

რაიონს უკეთესი სამეურნეო შედეგები ექნებოდა, რომ რაიონულ და სასოფლო საბჭოებს ორგანასობრივი მუშაობისათვის უფრო მეტი ყურადღება ეიქცია. შემოწმებით გამოვლინდა, რომ რაიონულ და სასოფლო საბჭოებს სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები აქვთ ორგანასობრივ მუშაობაში. რაისაბჭოს აღმასკომმა ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილებიდან შრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მათი მასებთან კავშირის გაძლიერებისათვის. უფრო მეტიც, ეს დადგენილება არ განუხილავთ რაიონული საბჭოს სესიაზე და არ გაუტარებიათ საჭირო ღონისძიებები საბჭოების მუშაობის გარდაქმნისათვის.

რაიონული და სასოფლო საბჭოები სესიებს მოუმზადებლად და დაბალ დონეზე ატარებენ. სესიების გადაწყვეტილებები უმეტესად ორაკონკრეტულია, ზოგჯერ კი არ შეესაბამება განხილული საკითხების შინაარსს.

მთელ რიგ შემთხვევებში სესიებზე გაკეთებული მოხსენებები და თანამოხსენებები ატარებენ ფორმალურ ხასიათს. მათში არ არის მოცემული მუშაობის დეტალური ანალიზი და ნაკლოვანების გამომწვევი მიზეზები, სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში არ არიან ჩაბმული საბჭოს მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი. წინადადებები, რომლებიც შეაქვთ დეპუტატებს სესიაზე, ხშირად უყურადღებოდ რჩება.

რაიონულ და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, რის გამოც ზოგიერთი გადაწყვეტილება შეუსრულებელი რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტად მუშაობენ როგორც რაიონის, ისე სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები. საბჭოების აღმასკომები არ ხელმძღვანელობენ და არ წარმართავენ მათ მუშაობას. საბჭოს სესიებზე მუდმივი კომისიების ანგარიშებს იშვიათად ისმენენ. მუდმივი კომისიების საქმისწარმოება ქაოტურ მდგომარეობაშია.

ცუდად არის დაყენებული ამომრჩეველთან დეპუტატების ანგარიშგების საქმე. 1957-58 წ. წ. განმავლობაში, რაიონულ საბჭოს და აგრეთვე გარდაბნის, კალინინის, ჯანდარის, გამარჯვების და ქვესალის სასოფლო საბჭოებში დეპუტატების უმეტეს ნაწილს ანგარიში არ ჩაუბარებიათ ამომრჩეველებისათვის.

რაიონული საბჭოს აღმასკომი იშვიათად ამოწმებს სასოფლო საბჭოებს. არ უწევს მათ ქმედით დახმარებას ყოველდღიურ მუშაობაში. რაიონული საბჭოს სესიებზე 1957-58 წლების განმავლობაში არ მოუსმენიათ არც ერთი სასოფლო საბჭოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა არავითარი რეაგირება არ მოახდინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წ. 26 აპრილის დადგენილებაზე „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედგენის შესახებ“ და 1957 წ. 11 სექტემბრის დადგენილებაზე „ბოლნისის, დმანისის, ცხაკაიას რაიონების და ქ. ფოთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ რაიონული საბჭოების აღმასკომებს ევალებოდათ აღნიშნული დადგენილებების განხილვა სესიებზე.

გარდაბნის რაიონის საბჭოების ორგმასობრივ მუშაობაში აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ ორგმასობრივ მუშაობას და ეს საქმე ძირითადად მინდობილი აქვთ აღმასკომების მდივნებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამბ. მ. კ. გასანოვი) მიიღოს სათანადო ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

1) გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 22 იანვრის დადგენილების განხორციელებისათვის. აღმოფხვრას ფორმალიზმი მუშაობაში და აამაღლოს ადგილობრივი საბჭოების როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში.

2) უზრუნველყოს რაიონული და სასოფლო საბჭოების სესიების მაღალ დონეზე ჩატარება, არ დაუშვას სესიებზე მოუმზადებელი საკითხების გატანა. საკითხების მომზადებაში აქტიურად ჩაბას მუდმივი კომისიები, დეპუტატები და საბჭოს აქტივი. ღრმად და ყოველმხრივ განიხილონ სესიებზე დასმული საკითხები, გაითვალისწინონ გადაწყვეტილებებში დეპუტატების მიერ სესიაზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები. მიიღოს კონკრეტული და საქმიანი გადაწყვეტილებები.

3. მკვეთრად გააუმჯობესოს მუდმივი კომისიების მუშაობა. აამაღლოს მათი როლი სესიებზე გასატანი საკითხების მომზადებაში. დაამკვიდროს სესიებზე მუდმივი კომისიების ანგარიშგების პრაქტიკა. დაუკავშიროს მუდმივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიების მუშაობა საბჭოების აღმასკომების მუშაობას. წესრიგში მოყვანილ-ნოს მუდმივი კომისიების საქმისწარმოება.

4. უზრუნველყოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლების წინაშე ანგარიშების რეგულარულად ჩაბარება და თავის დროზე მიაწოდოს მათ საცნობარო მასალა საბჭოების მუშაობის შესახებ. მოსთხოვოს სასოფლო საბჭოების აღმასკომებს ამომრჩეველთა განაწესების და წინადადებების აღრიცხვის წარმოება და მიიღოს სათანადო ზომები მათი განხორციელებისათვის.

5. სერიოზული ყურადღება მიაქციოს ზემდგომი ორგანოების და ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული დადგენილებების და გადაწყვეტილებების შესრულებას. სისტემატური კონტროლი დააწესოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

6. პერიოდულად ჩაატაროს სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების სემინარები საბჭოთა კანონმდებლობისა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე. ღრმად შეისწავლოს ორგმასობრივი მუშაობის ფორმები და მეთოდები. განაზოგადოს და გაავრცელოს საბჭოების, მუდმივი კომისიების და დეპუტატების მოწინავე გამოცდილებანი.

7. შეამოწმოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა რაიონში, განიხილოს და მიიღოს საჭირო ზომები მის შესასრულებლად.

8. დაევალოს გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ვ. გასანოვს პირადად უხელმძღვანელოს საბჭოს ორგამსობრივ მუშაობას და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სასოფლო საბჭოების აღმასკომებს ამ მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

9. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების უფროსს ამხ. ვ. ქუჩუკაშვილს მიავლინოს ინსტრუქტორები გარდაბნის რაიონში ამ დადგენილების განხორციელების საქმეში პრაქტიკული დახმარებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 24 ოქტომბერი.

19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ, როგორც შემოწმებით გამოირკვა, ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმსა და გორში და რუსთავში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ნაწილობრივი შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147[1] მუხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანის შესახებ“ ძირითადად დამაკმაყოფილებლად სრულდება. ბრძანებულებამ დიდი როლი შეასრულა ინდივიდუალურ ბინათმშენებლების მიერ მიწის თვითნებურად დატაცებისა, უნებართვოდ და დაწესებული ნორმის დარღვევით მშენებლობის აღკვეთის საქმეში. მაგალითად: ქ. თბილისში თუ 1957 წელს მშენებლობისათვის მიწის თვითნებურად დაკავების 210 შემთხვევა იყო გამოვლენებული, აღნიშნული ბრძანებულების გამოცემიდან ხუთი თვის განმავლობაში გამოვლენებულია მხოლოდ 10 შემთხვევა.

მიუხედავად იმისა, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებმა გარკვეული ღონისძიებები გაატარეს ბრძანებულების სწორად განხორციელებისათვის, მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

საქალაქო და რაიონული საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი ყოველთვის არ იღებს გადამჭრელ ზომებს მიწის თვითნებურად დაკავებისა და უნებართვო მშენებლობის აღსაკვეთად. მილიციისა და პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ საკმაო დახმარებას ვერ უწევენ რაიონული საბჭოების აღმასკომებს დამნაშავე პირთა გამოვლინებისა და პასუხისგებაში მიცემისათვის და ზოგჯერ აპიანურებენ ამ საქმეების გამოძიებას. შემოწმებულ ქალაქებში თვითნებურად აგებული ნაგებობების ჩამორთმევას არ ახორციელებენ და ქმაყოფილდებიან ნაგებობების დანგრევით. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე მშენებლობის 6 შემთხვევიდან რაიონული საბჭოს აღმასკომმა მასალები გადასცა მილიციას მხოლოდ 3 პირის პასუხისგებაში მისაცემად. მაგრამ რაიმილიციის განყოფილებამ ამ დამნაშავე პირების მიმართაც არ მიიღო საჭირო ზომები და მათი საქმეების გამოძიება გაუჭიანურა. მაგალითად: მოქ. ი. რუბაშვილმა იყალთოს მთაზე 1957-58 წლებში თვითნებურად სამჯერ აშენა სახლი, რომელიც რაიონული საბჭოს აღმასკომმა სამჯერვე დაუნგრია და მასალები მის პასუხისგებაში მისაცემად გადასცა რაიმილიციას, მაგრამ იგი პასუხისგებაში არ მიუცია. დაუსჯელობით გათამამებული რუბაშვილი ა/წ 29 სექტემბერს მეოთხედ შეეცადა სახლის აშენებას. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ქონდა აგრეთვე ქ. ქუთაისში, ქ. ფოთში და სხვ.

მიწის თვითნებურად დამკავებელ პირთა წინააღმდეგ არადამაკმაყოფილებელ ბრძოლას ეწევა აგრეთვე ქ. ფოთის პროკურატურა. 1958 წლის აპრილის თვეში ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მასალები მიწის თვითნებურად დამკავებელი 14 პირის მიმართ გადაუგზავნა პროკურატურას, ეს უკანასკნელი კი დაკმაყოფილდა მხოლოდ რამოდენიმე პირის გაფრთხილებით თვითნებურად აშენებული სახლის აღების შესახებ და დანარჩენი მასალები რეგირებმა გარეშე დატოვა.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის პროექტების დამტკიცებისას აღგილი აქვს კანონით დაწესებული ნორმების დარღვევას და მიწის ნაკვეთების არასწორად გამოყოფას. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 ივლისის დადგენილების გამოცემის შემდეგ საცხოვრებელი ფართობის ნორმების ზევით დაუმტკიცა პროექტები 5 მოქალაქეს. ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა კი იმ პირების მიმართ, რომელთაც დამტკიცებული ჰქონდათ სახლის მშენებლობის პროექტები ძველი ნორმით და მშენებლობა არ ჰქონდათ დაწყებული, არ გადასინჯა ეს პროექტები ახალი ნორმების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი რაიონის პროკურატურა და სახალხო სასამართლო 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულების გამოცემის შემდეგაც განაგრძობენ მშენებლობისათვის მიწის თვითნებურად დატაცებში მხილებული პირების მოქმედების დაკვალიფიცირებას სსკ 88[1] მუხლის ძველი რედაქციით. მაგალითად: ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახ. სასამართლომ რაიონის პროკურატურიდან მიიღო საქმეები და გასამართლა ორი მოქალაქე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ძველი რედაქციით, ახალი ბრძანებულების გათვალისწინების გარეშე.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) ინდივიდუალური და სააგარაკო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფისას ზუსტად დაიცვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აპრილის დადგენილება, მიიღონ გადამწყვეტი ზომები მიწის თვითნებურად დაკავებისა და უნებართვო მშენებლობის აღსაკვეთად;

ბ) ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო მშენებლობის პროექტების დამტკიცებისას ზუსტად დაიცვან სართულიანობის, ოთახების რაოდენობისა და ფართობის კანონით დაწესებული ნორმები.

უახლოეს დროში გადასინჯონ ინდივიდუალური მშენებლობის ადრე დამტკიცებული პროექტები ახალი კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

გ) მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევისას დამრღვევ პირთა მიმართ მასალები დროულად გადასცენ საგამომძიებლო ორგანოებს მათ პასუხისგებაში მისაცემად;

დ) უზრუნველყონ თვითნებურად აშენებულ ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევა და საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასკომის კომუნალურ ფონდებში ჩარიცხვა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (ამხ. ვ. ჯანჯოლია) უზრუნველყოს მილიციის ადგილობრივი ორგანოების მიერ მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევათა დროული გამოვლინება და დამნაშავე პირთა მიმართ გადაცემულ საქმეთა კანონით დაწესებულ ვადებში გამოძიება.

3. შემოწმების მასალები მიწის დატაცებისა და თვითნებურ მშენებლობაში დამნაშავე პირთა შესახებ გადაეგზავნოს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს გამოსაძიებლად და კონკრეტულ დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1958 წ. 24 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. სასოფლო აღმასრულებელთა მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ, როგორც საქართველოს სსრ პროკურატურის შემოწმებით გამოირკვა, რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების სასოფლო საბჭოებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილება „სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ". მიუხედავად იმისა, რომ სოფლის აღმასრულებლებს აკისრიათ მოვალეობა ხელი შეუწყონ სასოფლო საბჭოსა და მილიციას სოფლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში, ხულიგნობასთან და სხვა დანაშაულთან ბრძოლაში, სახელმწიფო, საკოლმეურნეო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ქონების დაცვაში, სახანძრო და სანიტარული მდგომარეობისათვის მეთვალყურეობის გაწევაში, სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის წინააღმდეგ ღონისძიებათა გატარებაში და სხვ. მთელი რიგი სასოფლო საბჭოების აღმასკომები არ აფასებენ სოფლის აღმასრულებლის როლს და მის შერჩევას და დანიშვნას სერიოზულად არ ეკიდებიან. არის შემთხვევები, როცა სოფლის აღმასრულებლად ნიშნავენ ნასამართლობის მქონე და საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირებს, ავრეთვე ინვალიდებს, მოხუცებს, არასრულწლოვანებს, მასწავლებლებს, კოლმეურნეობის ბრიგადირებს და ფერმის გამგეებს, რომელთაც კანონის თანახმად სოფლის აღმასრულებლობა არ შეიძლება დაეკისროთ.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სოფლის აღმასრულებლებს ნიშნავს სასოფლო საბჭოს დამტკიცების გარეშე, წინასწარ არ ადგენს იმ პირთა სიებს, რომელთაც კანონით ეკისრებათ ეს მოვალეობა, არ იცავს რიგითობას და ნორმებს; წინასწარ არ ატყობინებს მათ აღმასრულებლის მოვალეობის დაწყების დროსა და ხანგრძლივობას.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის აღმასრულებელი უნდა ინიშნებოდეს 300 მოსახლეზე ერთი, ბათუმის რაიონის მახინჯაურის სასოფლო საბჭოში, სადაც 2800-ზე მეტი მცხოვრებია, ერთი აღმასრულებელია გამოყოფილი.

მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში დადგენილებით გათვალისწინებული სამი თვის ნაცვლად სოფლის აღმასრულებლად მუშაობენ წლების განმავლობაში. მაგალითად, ქუთაისის რაიონის ქვემო სიმონეთის სასოფლო საბჭოში ჯ. გ. ალდიაშვილი სოფლის აღმასრულებლად მუშაობს 1942 წლიდან, ნახშირდელის სასოფლო საბჭოში ე. მ. საკანდელიძე 1940 წლიდან, თბილისის გარეუბნის მარტყოფის სასოფლო საბჭოში ს. მ. ადიკაშვილი აღმასრულებლად მუშაობს 1957 წლის აპრილიდან. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი წყალტუბოს, ზესტაფონის, ლენინგორის და სხვა რაიონებში.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოში კანონის საწინააღმდეგოდ სოფლის აღმასრულებლის მოვალეობას აკისრებენ 18 წლის ასაკს მიუღწეველ და 50 წელს გადაცილებულ პირებს. ზესტაფონის რაიონის ფუთის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა აღმასრულებლის მოვალეობის შესრულება დააკისრა 16 წლის ჯ. ს. სარალიძეს, ხოლო კლდეეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 60 წლის ბ. ნ. წიფელაშვილს და 64 წლის ა. ნ. ჭუმბაძეს. ყასპის რაიონის კავთისხევის სასოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო საბჭოს აღმასრულებლად მუშაობს 67 წლის ზ. ქ. იაშვილი, სოფელ ქვემო ბალაში 65 წლის ი. ზ. შიუკაშვილი, წყალტუბოს რაიონის სოფ. გვიშტიბში 78 წლის ი. კინწურაშვილი და სხვ.

თიანეთის რაიონის ზარიძეებისა და არტნის სასოფლო საბჭოებში და ასპის რაიონის სოფელ კოდისწყაროში აღმასრულებლად მუშაობენ ინვალიდები, ხოლო თიანეთისა და სიმონიანთხევის სასოფლო საბჭოებში კი ნასამართლობის მქონე პირები. ბათუმის რაიონის ურეხის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სოფლის აღმასრულებლად დანიშნა კოლმეურნეობის ფერმის გამგე, ბრიგადირები და მასწავლებლები.

პრეზიდიუმი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში სოფლის აღმასრულებლად მომუშავე პირებს უკანონოდ ურიცხავენ შრომადღეებს და ფულს კოლმეურნეობების ან კოლმეურნეთა ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილება ითვალისწინებს სოფლის აღმასრულებლის მოვალეობის შესრულებას ძირითადად არასამუშაო დროს და გასამრჯელოს გარეშე, ადიგენის რაიონის ბოლაჯურის სოფლის აღმასრულებელს ი. ჩხიტუნიძეს ყოველთვიურად ურიცხავენ 15 შრომადღეს კოლმეურნეთა ხარჯზე. გაგრის რაიონის განთიადის სოფლის აღმასრულებელს რ. დერდერიანს სოფლის ოთხივე კოლმეურნეობა ყოველთვიურად უხდის თვითეული 150 მანეთს.

მსგავს დარღვევებს აქვს ადგილი თიანეთის, ქუთაისის, წყალტუბოს და ბევრ სხვა რაიონში. რაიონული საბჭოების აღმასკომები არ ამოწმებენ სოფლის აღმასრულებლების საქმიანობას და არ უწევენ სოფლის საბჭოებს პრაქტიკულ დახმარებას მათი როლის ამაღლებისა და სწორი მუშაობის უზრუნველსაყოფად. არასაკმაო ინსტრუქტაჟი ეძლევა სოფლის აღმასრულებლებს და ნაკლებია მათზე მეთვალყურეობა რაიმილიციის განყოფილებების მხრივაც.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მწრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს:

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ სრულიად საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით „სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ“ და უზრუნველყონ სოფლის აღმასრულებლების მუშაობის წარმართვა იმ ძირითადი ამოცანის შესასრულებლად, რომელიც მათ ამ დადგენილებით აკისრიათ.

ბ) მნიშვნელოვნად აამაღლონ სოფლის აღმასრულებლის როლი და სერიოზული ყურადღება მიაქცინონ მათი დანიშვნის საქმეს. მათი დანიშვნა აწარმოონ სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებით და მტკიცედ დაიცვან კანონი სამსა მოსახლეზე ერთი აღმასრულებლის გამოყოფის შესახებ, შეადგინონ იმ პირთა სიები, რომელთაც ევალებათ სასოფლო აღმასრულებლად მუშაობა, დაიცვან რიგითობა და წინასწარ შეატყობინონ სასოფლო აღმასრულებლებს მათი მოვალეობის დაწყების დრო და ხანგრძლივობა.

გ) შემდგომში არ დაუშვან სამ თვეზე მეტი ხნით სოფლის აღმასრულებლად მუშაობა და არ დააკისრონ ეს მოვალეობა ნასამართლობის მქონე და საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც სოფლის აღმასრულებლობა არ ევალებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და სასოფლო-საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ აღაკვეთონ და შემდგომში არ დაუშვან სოფლის აღმასრულებლებისათვის შრომადღეების დარიცხვა და ფულადი ანაზღაურება, როგორც კოლმეურნეობათა, ისე კოლმეურნეთა ხარჯზე.

განმარტოთ მათ, რომ სოფლის აღმასრულებელი თავის მოვალეობას უნდა ასრულებდეს არასამუშაო დროს, გასამრჯელოს გარეშე, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობის წევრი — სოფლის აღმასრულებელი თავის მოვალეობას შეასრულებს განსაკუთრებული აუცილებლობით გამოწვეული მდგომარეობის გამო სამუშაო დღის განმავლობაში, ამ მოვალეობის ასრულებაზე დახარჯული დრო მას ჩაეთვლება კოლმეურნეობაში მუშაობად და დაერიცხება შრომადღეები.

3. დავალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს შემოწმონ რაიონში სოფლის აღმასრულებელთა მუშაობა, განიხილონ აღმასკომის სხდომებზე და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებების და დარღვევების აღმოსაფხვრელად. პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ და სათანადო ინსტრუქტაჟი მისცენ სასოფლო საბჭოს აღმასკომებს სოფლის აღმასრულებელთა მუშაობის შესახებ, რაშიც ჩააბან რაიმილიციის განყოფილებებიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წლის 24 ოქტომბერი.

21. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის წევრის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე ჩიქვანია „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან.

2. დამტკიცდეს ამხ. ვლადიმერ ივანეს-ძე მაისურაძე „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის **წევრად.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წლის 24 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ბრძანებულება ამხ. მ. ფ. ჩხეიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წლის 25 ოქტომბერი.

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს ბაზაზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს და დაამტკიცოს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლის სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 30 ოქტომბერი.

24. ბრძანებულება პროფესორ ნ. ვ. ქაშაკაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან სამოცდაათი წლის შესრულებასთან დაკავშირებით და მეტალურგიული მრეწველობისა და სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს პროფესორ ნიკოლოზ ვასილის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე ქაშაკაშვილს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წლის 1 ნოემბერი.

25. ბრძანებულება სტალინირის რაიონის სოფელ დგვრისის ტერიტორიის ქალაქ სტალინირის ფარგლებში შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება სტალინირის რაიონის სოფელ დგვრისის ტერიტორიის ქალაქ სტალინირის ფარგლებში შეტანის შესახებ, ქალაქთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წლის 10 ნოემბერი.

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ გარდაბნის და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონების გაერთიანებისა და ქ. თბილისის სამგორის რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გაერთიანდეს საქართველოს სსრ გარდაბნის და ქ. თბილისის გარეუბნის. რაიონები ერთ რაიონად და შემდგომში ეწოდოს მას ქ. თბილისის სამგორის რაიონი. ქ. თბილისის სამგორის რაიონის ცენტრად განისაზღვროს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს დასახლება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. ბრძანებულება ამხ. ვ. ნ. ჯანჯღავას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წლის 18 ნოემბერი.

28. ბრძანებულება ამხ. ი. ი. ღარიბაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად

დაინიშნოს ამხ. ივანე იოსების-ძე ღარიბაშვილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წლის 18 ნოემბერი.

29. ბრძანებულება ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ

დაინიშნოს ამხ. ბეჟან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წლის 19 ნოემბერი.